

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ჯანელიძეს

20.11.2017 – 14.05.2018 წლებში გაწეული საქმიანობის ანგარიში

მოგახსენებთ, რომ ჩემი საკრებულოს წევრად არჩევის დღიდან დღემდე აქტიურად ემონაწილეობ ნახშირღელის ადმინისტრაციული ერთეულის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში. მაცეს ხშირი და აქტიური კომუნიკაცია ჩემი სოფლის მოსახლეობასთან, ვატარებ შეხვედრებს სხვადასხვა უბნებში, ვეცნობი პრობლემებს და ვბუკნობ მათი აღმოფხვრის გზებზე.

მოცემული პერიოდის განმავლობაში რამოდენიმეჯერ დაპროვილდა სოფლის შიდა საუბნო გზები, განხორციელდა გზებზე სანიაღვრე არხების მოწყობა, დაემატა ნარჩენების ურნები, ამჟამად მოთხოვნილი გააქვს 5 ნარჩენების ურნის დამატება.

აღნიშნულ პერიოდში ნახშირღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნავენახევში ჩემი აქტიური ჩართულობით განხორციელდა გაზსადენი ქსელის მშენებლობის დაპროექტება და შემდეგ 70 ოჯახში ბუნებრივი გაზის შეყვანის სამუშაოები. ამით გაზიფიცირების პრობლემა მთლიანად ამოიწურა ნახშირღელის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ჩემი უშუალო ხელშეწყობით ნახშირღელის საბავშვო ზადისათვის გამოიყო 150 მეტრი 40მ.-იანი პოლიეთილენის სასმელი წყლის მილი, დაზიანებული ადგილის შესაკეთებლად.

აქტიურად ვარ ჩართული ნავენახევის მღვიმის სარეაბილიტაციო სამუშაოების საკითხებში და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას ვუწევ ადგილობრივ მოსახლეობას ნავენახევის მღვიმის ადმინისტრაციაში დასაქმებასთან დაკავშირებით.

ამჟამად ნახშირღელის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილია გომამბეების უბანში სტიქიით დაზიანებული გზის ბეტონის საფარის და ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის

სამუშაოები, რომელიც შეადგენს 700 მეტრს აღნიშნული პროექტი უკვე შედგენილია და გადის ექსპერტიზას.

აგრეთვე მერის წარმომადგენელთან ერთად მოთხოვნილი გვაქვს სოფლის ცენტრში არსებული მანი სტადიონისათვის გარე განათების მოწყობა, სკოლისა და ბაღის სასმელი წყლის მაგისტრალის დაზიანებული ადგილის შეკეთებისათვის 200 მეტრი 40მმ-იანი პოლიეთილენის მილი.

ამჟამად ვმუშაობ აწლის 27 იანვარს ნახშირღელის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის დროს მოსახლეობის მიერ დაყენებული პრობლემების აღმოფხვრაზე, რომელთა უმრავლესობაც უკვე აღმოფხვრილია და დარჩა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ამ შეხვედრაზე მოსახლეობამ დააყენა ნიკოლაძეების უბანში 1,5 კმ. საუბნო გზის მოწყობა ბეტონის საფარითა და სანიაღვრე არხით, რომლის მოგვარებასაც აქტიურად ვცდილობ.

ამ მოცემულ პერიოდში მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ ერთეულში და ჩემი ერთობლივი რეკომენდაციით სოფლის მაცხოვრებლებზე თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პროგრამებიდან გაიგა :

1. მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამით დაკმაყოფილდა 35 ოჯახი.
2. ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამით დაკმაყოფილდა 5 ოჯახი.
3. სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ერთჯერადი პროგრამით დაკმაყოფილდა 13 მოქალაქე.
4. მძიმე უანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების პროგრამით დაკმაყოფილდა 8 მოქალაქე.
5. უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტით დახმარების პროგრამით დაკმაყოფილდა 10 ოჯახი.

აქტიურად ვარ ჩართული თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში, როგორც ფრაქცია „ერთული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარეს დღეის მდგომარეობით ჩატარებული მაქვს ფრაქციის 5 სხდომა, რომლებზედაც განხილული იქნა საკრებულოში შემოსული 16 საკითხი. ფრაქციამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საკითხების ბიუროს სხდომაზე წარდგენას.

ვარ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისა და უანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, სადაც აქტიურად ვარ ჩართული ნორმატიულ აქტების შემუშავების პროცესში, ჩემი უშუალო მონაწილეობით გასწორდა და სრულყოფილი სახე მიიღო ზემოთ აღნიშნულ კომისიებზე განსახილველად შემოსულმა საკითხებმა. ეს ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებას, მერიის სამსახურების დებულებებს, მუნიციპალიტეტში მოქმედ სოციალურ პროგრამებსა და აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

აგრეთვე ვარ მერიის სოციალური დახმარებების შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში და აქტიურად ვარ ჩართული აღნიშნული ჯგუფის მუშაობაში სამუშაო ჯგუფის მუშაობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სოციალური პროგრამების სწორად და მიზნობრივად მიხმარება სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადგილობრივი მოქალაქეებისათვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ჩემი აქტიური ჩართულობითა და მუშაობით მნიშვნელოვანი წვლილი შემაქვს როგორც სოფლის პრობლემების მოგვარებაში ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში.

პატივისცემით

ლამა ლანჩავა



ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" -ს თავმჯდომარე  
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო